

სკოპინგის დასკვნა N20

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის წარმოებისათვის წვის დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. გარდაბანი, თამარ მეფის ქ. N 152;

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი: შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯია“; ქ. ქუთაისი, ასლანიკაშვილის ქ. N 1;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 24.02.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯია“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯის“ (ს/კ 412752757) მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იქნა - ქ. გარდაბანში, ელექტროენერჯის წარმოებისათვის წვის დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 81.15.20.316), რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯის“ მფლობელობაშია. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია. ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ნაგებობები. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-505700.52, Y-4590684.49; X-505757.98, Y-4590642.45; X-505827.22, Y-4590720.10; X-505812.11, Y-4590737.65. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ტერიტორიიდან უახლოესი სახლი დაშორებულია 500 მ-ით (სოფ. ლელაშხა). თუმცა, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს მოსახლეს შორის მანძილი **370** მეტრს შეადგენს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ალტერნატივების, მათ შორის არაქმედების და ადგილმდებარეობის, ანალიზი. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მიღებული დადებითი სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული ფაქტორების გათვალისწინებით, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილი იქნა. საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობის, ტერიტორიაზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო საშუალებების, ასევე გარემოზე მოსალოდნელი დამატებითი ზემოქმედების გათვალისწინებით ადგილმდებარეობის სხვა ალტერნატივის განხილვა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო დანადგარების ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. მასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით.

არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზე განთავსებულია ძირითადი საწარმოო ინფრასტრუქტურა: სამი გაზრეაქტორი და ორი გაზგენერატორი, ასევე სარეზერვო ოთხი

გაზგენერატორი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოო ნედლეულია ტექნიკური ნახშირი (ხელოვნური ნახშირი), რომელიც წარმოადგენს პიროლიზის შედეგად მიღებულ ბრიკეტირებულ ნახშირს და წარმოებულია ნარჩენების აღდგენის შედეგად. არსებული ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად გაზრეაქტორში წარმოებული აირი/ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული აირი (რომელიც ტექნიკური ნახშირის წვის შედეგად მიიღება) მიეწოდება გაზგენერატორს, რომელიც გამოიმუშავებს ელექტროენერჯიას. ენერჯია მიეწოდება არსებულ სასათბურე მეურნეობას, დენის ავარიული გათიშვის შემთხვევაში. არსებული გაზგენერატორების ჯამური (თითოეული 1,2 მგვტ) სიმძლავრე შეადგენს 2,4 მგვტ-ს. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად კომპანია გეგმავს გამოსამუშავებელი ელექტროენერჯიის გაზრდას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დამატებით ოთხი გაზრეაქტორის (თითო 1080 კვ სიმძლავრის და 9 ტ. კოქსის მოცულობის) და სამი გაზგენერატორის განთავსება, საიდანაც ორის (1,2 მგვტ; 1,2 მგვტ) ჯამური სიმძლავრე შეადგენს 2,4 მგვტ-ს, ხოლო ერთის 9 მგვტ-ს. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ასევე 4 ერთეული 50 მ³ და 6 ერთეული 20 მ³ მოცულობის აირის მიწისზედა საცავის მოწყობა, წარმოებული აირის შესანახად. პროექტის განხორციელების შემდგომ დაგეგმილია ჯამურად 13.8 მგვტ ელექტროენერჯიის წარმოება. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად წარმოებული ენერჯია სრულად უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული სასათბურე მეურნეობის ელექტროენერჯიით მომარაგებას, ხოლო ჭარბი ენერჯიის მიწოდება გათვალისწინებულია ქვეყნის სახელმწიფო ენერჯოსისტემაში. სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს წარმოებული ენერჯიის საერთო სახელმწიფო ენერჯოსისტემაში ჩართვის/ქსელთან მიერთების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გაზრეაქტორი წარმოადგენს ვერტიკალურად განთავსებულ რკინის ცილინდრს, რომელშიც თავსდება ტექნიკური ნახშირი. გაზრეაქტორს სრულად შევსების შემდგომ, მიეწოდება მცირე რაოდენობით ჟანგბადი და მცირე წნევით წყლის ორთქლი. ტექნიკური ნახშირის წვის შედეგად ხდება ნახშირწყალბადების გამოთავისუფლება და გაზის წარმოქმნა. სრულად შევსებული თითოეული (საპროექტო) გაზრეაქტორი ერთ ციკლზე (7-9 სთ-ს) აწარმოებს დაახლოებით 12 600 მ³ აირს. ჯამში დღის მანძილზე დაგეგმილია დაახლოებით 73 ტ ტექნიკური ნახშირიდან აირის წარმოება. სულ საპროექტო ობიექტზე გათვალისწინებულია მაქსიმუმ წელიწადში 25000 ტონა ტექნიკური ნახშირის გადამუშავება (გაზის წარმოებისთვის). ტექნიკური ნახშირის განთავსებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია კაპიტალური სასაწყობო მეურნეობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტექნიკური ნახშირის შემოტანა ხორციელდება საქართველოში არსებული ნარჩენების აღდგენაზე მომუშავე კომპანიებიდან. ასევე, დამატებით განიხილება ტექნიკური ნახშირის იმპორტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ერთი 1200 კვ (1,2 მგვტ) სიმძლავრის გაზგენერატორი მოიხმარს 400 მ³ გაზს სთ-ში, რაც 24 სთ-ში შეადგენს 9600 მ³-ს. 4 ერთეული (ორი საპროექტო და ორი არსებული) გაზგენერატორის ჯამური მოხმარება 24 სთ-ში იქნება 38 400 მ³-ს. 9 მგვტ სიმძლავრის გაზგენერატორი მოიხმარს 3000 მ³ აირს საათში, რაც 24 სთ-ში შეადგენს 72000 მ³-ს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო სიმძლავრის სრულად ათვისებისთვის (გაზგენერატორების აირით უზრუნველსაყოფად) საჭიროა 110 400 მ³ აირის ათვისება, 24 სთ-ში. ვინაიდან, გაზრეაქტორების (არსებული, საპროექტო) სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფს გაზგენერატორების სრულად დატვირთვას, დეფიციტის

შევსება დაგეგმილია ბუნებრივი აირით (გაზით), ადგილობრივი გაზომომარაგების კომპანიიდან.

საწარმოო პროცესის ტექნოლოგიური ციკლის თანმიმდევრობაა: ხელოვნური ნახშირის ტრანსპორტირება ადგილზე და დასაწყობება სასაწყობო მეურნეობაში; ხელოვნური ნახშირით აირრეაქტორების შევსება; გაზრეაქტორში აირის წარმოქმნა, ფილტრაცია და მისი შენახვა საცავში; საცავიდან აირის მიწოდება გაზგენერატორებში ელექტროენერჯის წარმოებისთვის; ელექტროენერჯის წარმოება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოები ძირითადად დაკავშირებული იქნება საპროექტო გაზგენერატორების და საცავის მოწყობასთან. საპროექტო საცავები განთავსდება ბეტონით მომანდაკებულ ზედაპირზე (25X20 მეტრ ფართობზე). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გაზრეაქტორები და გაზგენერატორები ადგილზე მიტანილია, დარჩენილია მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება 4-6 თვის მანძილზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გაზრეაქტორები უზრუნველყოფილი იქნება აირის გამწმენდი სექციური სისტემებით, რომლებიც მოიცავს აირის გაგრილების ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემას. თვის მანძილზე გაგრილების სისტემის წყლის დანაკარგების შევსებისთვის გათვალისწინებულია 9 ტონა წყლის მოხმარება. ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.

სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი პროექტი გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. დეპარტამენტის ცნობით ინსპექტირებისას ადგილზე დაფიქსირდა 3 ერთეული გაზის მწარმოებელი რეაქტორი (გაზრეაქტორი), რომელიც სრულად არ იყო დამონტაჟებული, მიმდინარეობდა საკომპრესოროს მოწყობის სამუშაოები. ასევე, მიმდებარედ დამონტაჟებული იყო ორი ერთეული გაზსაცავი რეზერვუარი. დეპარტამენტში შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯის“ მიმართ დაწყებული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევის ფაქტზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ და ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილებისათვის. პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპთან, მათ შორის აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება, ნარჩენების არასწორი მართვა.

პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს გაზგენერატორები წარმოადგენს, ასევე ზემოქმედება მოსალოდნელია (კოქსის) სატრანსპორტო ოპერაციებისას და გაზრეაქტორიდან, კოქსის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნაცრის ათვისებისას. სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ განხილული და (გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით) მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიაზე მოსალოდნელი ემისიების რაოდენობრივი, ხარისხობრივი შეფასების შესახებ. ამასთან მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურწარმოქმნელ წყაროებად განიხილება არსებული და საპროექტო გაზგენერატორების მუშაობა, ასევე საკომპრესორო სადგური და მომუშავე სპეც-ტექნიკა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია მნიშვნელოვანი მანძილით ზემოქმედების რეცეპტორებად განიხილება მხოლოდ ადგილზე მომუშავე მუშახელი. **აღნიშნული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას, შეფასებას და სათანადო დასაბუთების წარმოდგენას, მათ შორის 500 მ დაშორების მნიშვნელოვან მანძილად ჩათვლის კუთხით.** ამასთან აღსანიშნავია რომ ელექტრონული გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს მოსახლეს შორის მანძილი **370 მეტრს** შეადგენს.

შშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია წარმოიქმნას როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენები. მათ შორის მნიშვნელოვანია ექსპლუატაციის ეტაპზე, ბუნებრივი აირის წარმოქმნისა და გაფილტვრის პროცესის თანმდევი ნაცარი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წარმოქმნილი ნაცარი დროებით განთავსდება ნედლეულის სასაწყობე ტერიტორიაზე და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონალური წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. 2022 წლის 22 მარტს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. ლელაშხაში გაიმართა აღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე სოფ. ლელაშხას მაცხოვრებლები. საჯარო განხილვაზე საზოგადოების წარმომადგენლებმა რეგიონში უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს დაგეგმილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის გავრცელებას და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას. კომპანიის წარმომადგენელმა ადგილობრივ მაცხოვრებლებს განუმარტა, რომ პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისთვის დეტალური კვლევები ჩატარდება გზშ-ის ეტაპზე. სამინისტროს წარმომადგენელმა საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებას განუმარტა სკოპინგის პროცედურის მნიშვნელობა და აღნიშნა რომ საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საფუძვლიანი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება სკოპინგის დასკვნის მომზადების ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო

კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **გზმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
- 3.2. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;**
4. **გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - ინფორმაცია საწარმოში არსებული (მიმდინარე) საქმიანობის შესახებ;
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება და დეტალური აღწერა;
 - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა. ამასთან, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ი და GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
 - წარმოდგენილი უნდა იყოს, საწარმო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. მათ შორის, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოში არსებული და საპროექტო დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები/უბნები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
 - საპროექტო ობიექტიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით);
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე სამრეწველო/საწარმო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
 - საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული

ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;

- ელექტროენერჯის წარმოებისათვის შერჩეული მეთოდის ეკოლოგიური, ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური უპირატესობები, შესაბამისი დასაბუთებით;
- საპროექტო ცვლილების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნეს ელექტროენერჯის წარმოების ობიექტის ტექნოლოგიური სქემის და ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (საჭირო ნედლეულის მიღება-აირის წარმოება-ელექტროენერჯის წარმოება);
- დაზუსტებული ინფორმაცია გენერატორში ელექტრო ენერჯის გამომუშავების/წარმოებისა და შესაბამისი ტექნოლოგიის შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით, ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების და წარმადობის-საპროექტო სიმძლავრის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- წარმოებული ელექტროენერჯის გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ელექტროენერჯის წარმოების ობიექტის საპროექტო და არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების, უბნების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შესახებ, მათ შორის:
 - დეტალური ინფორმაცია საწარმო პროცესში გამოყენებული არსებული და საპროექტო გაზრეაქტორების შესახებ. ამასთან, ინფორმაცია (არსებული, საპროექტო) გაზრეაქტორების ტიპის, მოცულობის, წარმადობის, ტექნოლოგიური ციკლის (მისი ხანგრძლივობისა) და წარმოებული ბუნებრივი აირის მოცულობის შესახებ;
 - დეტალური ინფორმაცია არსებული და საპროექტო გაზგენერატორების შესახებ, გაზგენერატორების ტექნიკური პარამეტრებისა და საპროექტო სიმძლავრის, ასევე ტექნოლოგიური ციკლის მითითებით;
 - ბუნებრივი აირის საპროექტო საცავების შესახებ ინფორმაცია - საცავების ტიპის, მოცულობის და განთავსების პირობების მითითებით;
 - ინფორმაცია სატრანსფორმატოროს შესახებ, შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მითითებით;
 - ინფორმაცია წყლის ორთქლის წარმომქმნელი გენერატორის და ორთქლის გაზრეაქტორსთვის მიწოდების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია არსებული და საპროექტო გაზგენერატორების მიერ მოხმარებული აირის მოცულობის შესახებ. ამასთან, არსებული და დაგეგმილი გაზგენერატორების საპროექტო სიმძლავრის სრულად ათვისებისთვის საჭირო აირის მოცულობის და ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი აირის დეფიციტის შევსების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია ტექნიკური ნახშირის (ხელოვნური ნახშირი) შესახებ. მათ შორის, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს: ტექნიკური ნახშირის მახასიათებლები; ტექნიკური ნახშირის წარმოშობა; აღნიშნული ნედლეულით საწარმოს მომარაგების (ნარჩენების აღდგენის საწარმოების

მითითებით), რაოდენობისა და დასაწყობების პირობები, დასაწყობების ადგილის მითითებით; ასევე სასაქონლო კოდი (იმპორტის ნაწილში).

- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის ჟანგბადით მომარაგების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ჟანგბადის გადაზიდვის და საწარმოში განთავსების პირობების შესახებ;
- საპროექტო ობიექტზე გამოყენებული ნედლეულის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით);
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ;
- საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:
 - ინფორმაცია კოქსის წვის შედეგად მიღებული ნაცრის შესახებ, კერძოდ, შესწავლილი იყოს ნაცარი სახიფათო ნივთიერებების შემცველობაზე და შესაბამისად განსაზღვროს მისი კლასიფიცირება “სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების II დანართის მიხედვით.
 - დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესის თანმდევი ნაცრის დაზუსტებული რაოდენობის, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ;
- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია; მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების მითითებით;
- ინფორმაცია კანალიზაციის სისტემის შესახებ, გენ-გეგმაზე დატანით;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში (გაზრეაქტორების გაგრილება) გამოყენებული წყლის, მათ შორის ბრუნვითი წყალმომარების შესახებ;
- სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო წყლების მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- საწარმოო ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული უნდა იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- მეხამრიდების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და ტერიტორიის პერიფერიაზე მისი მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის არსებული საპროექტო უბნებისა და ობიექტების მოწყობის და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- ნედლეულის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების

შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია ვიზრაციისა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების გამომწვევ წყაროებზე (მაგალითად საწარმოში არსებული დანაგდარები);
- დასაზუსტებელია თვის მანძილზე დანადგარებისთვის მოხმარებული 9 ტონა წყლის გაფილტვრის სქემა;
- საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე ტექნიკური არხის რაიმე სახის დაზინძურების პრევენციული ღონისძიებები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე შეადგენს 500 მეტრს. თუმცა, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს მოსახლეს შორის მანძილი 370 მეტრს შეადგენს, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ჭარბი ენერჯის მიწოდება გათვალისწინებულია ქვეყნის სახელმწიფო ენერჯოსისტემაში. სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს წარმოებული ენერჯის საერთო სახელმწიფო ენერჯოსისტემაში

ჩართვის/ქსელთან მიერთების შესახებ ინფორმაცია. პროექტის ფარგლებში ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია: საერთო ქსელთან მიერთებისათვის განკუთვნილი საპროექტო ეგზ-ის ძირითადი პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების, ტექნიკური გადაწყვეტების, ასევე მისი გაყვანით გამოწვეული ზემოქმედების საკითხების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია (Shp-ფაილებთან ერთად);

- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების დეტალური ანალიზი და შემარბილებელი ღონისძიებები სრულ თანხვედრაში უნდა იყოს პროექტის მახასიათებლებთან და დაგეგმილ საქმიანობასთან;
- დაზუსტებას საჭიროებს სარეზერვოდ გამოყენებული გაზგენერატორების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ - სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დენის ავარიული გათიშვის შემთხვევაში მუშაობს ერთი გაზგენერატორი, ხოლო მეორე ასრულებდა სარეზერვო ფუნქციას. ამასთან აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია სარეზერვო ოთხი გაზგენერატორი;
- **სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ცნობით:**
 - ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული აირი არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ აირად;
 - „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ბუნებრივი აირის (გაზის) განმარტება შემდეგია: ნავთობი და გაზი – ნახშირწყალბადების ბუნებრივი ნაერთების კომპლექსი, რომელიც ნორმალური ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის პირობებში შეიძლება იყოს აირად (ნავთობის თანმდევი ან ბუნებრივი გაზი), თხევად (ნავთობი და კონდენსატი) ან მყარ (პარაფინი, ბიტუმი, გაზის ჰიდრატები) მდგომარეობაში;
 - „ბუნებრივი აირის მიწისზედა საცავის მოწყობა“ უნდა ჩანაცვლდეს ტექნიკური ნახშირიდან (კოქსიდან) მიღებული აირის საცავის ან პიროლიზირებული ნახშირის აირის საცავის მოწყობით;
 - ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი მოწყობილობა-დანადგარების განლაგება, მანძილები, უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებსა და წესებს, რაც აუცილებლად უნდა იქნეს ასახული გზშ-ის ანგარიშში.
- **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული თითოეული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).**

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ქართული ალტერნატიული ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. გარდაბანში ელექტროენერჯის წარმოებისათვის წვის დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.

გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.